

მაცალა წილოსანი



ნინო ჯავახიშვილი

მეცნიერების დედოფალი 100 წლისაა



2014 წლის 7 ნოემბერს გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოში მორფოლოგიური სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებელს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდებოდა. იგი თავისი მასწავლებლის - აკადემიკოს ალექსანდრე ნათიშვილის, რომელმაც ნინო ჯავახიშვილში თავისი მომავალი მემკვიდრე დაინახა, საქმის ღირსეული გამგრძელებელი გახლდათ.

ნინო ჯავახიშვილი გახლდათ პირველი ქალი, რომელსაც ანატომიის დარგში მიენიჭა პროფესორის წოდება. მან კიდევ უფრო გაზარდა და გაამდიერა ქართული ანატომიური სკოლა და გაიყვანა იგი საერთაშორისო ასპარეზზე.

ნინო ჯავახიშვილი 1914 წლის 7 ნოემბერს ქ. მოსკოვში დაიბადა. მამამისი იყო ცნობილი მეცნიერი, ქართული გეოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დამაარსებელი, აკადემიკოსი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი. დედა - ზინაიდა სტეფანეს ასული მოსურსკაია - ბატონი ალექსანდრეს ყოფილი სტუდენტი მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში, გზლდათ მშვენიერი, კეთილშობილი, ოჯახზე და მეუღლეზე უზომოდ

შეყვარებული ქალბატონი. „არ ვიცი როგორ ახერხებდა დედა, მაგრამ ოჯახში მამის კულტი იყო გამეფებული. ყველამ ვიცოდით, რომ მთავარი საზრუნავი მამა იყო. მამა ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა, რომ მე ქართულად ვყოფილიყავი აღზრდილი. მოსკოვში კი ჩემ გადიას ასწავლა იავნანა და ეს ქალი ქართულად მიმღეროდა ნანას.“ - იგონებს ქალბატონი ნინო.



ნინო ჯავახიშვილი მამასთან – ალექსანდრე ჯავახიშვილთან ერთად

ჯავახიშვილების ოჯახი მოსკოვში 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე დარჩა. თბილისში დაბრუნების შემდეგ კი ისინი დუშეთის (ამჟამად იაკობ ნიკოლაძის) ქუჩაზე დასახლდა ბატონი ალექსანდრე ამიერკავკასიის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა და მუდამ დატვირთული იყო. ბავშვები და ოჯახი ქალბატონ ზინაიდას სარუნავი იყო. „მიუხედავად მოუცლელობისა მამა პატარებს, როგორც ზრდასრულ ადამიანებს, ისე გვესაუბრებოდა და გვასწავლიდა, რომ ჩვენ საქციელზე პასუხისმგებელი ჩვენ ვართ. ოჯახის წევრებს შორის ურთიერთპატივისცემა სუფევდა, იყო წყნარი საუბარი, არავითარი შეხლა-შემოხლა. მიუხედავად იმისა, რომ

სკოლაშიც, უმაღლეს სასწავლებელშიც და მერეც - მუშაობის დაწყების შემდეგ, დასპეციალების პერიოდში ძალიან კარგი მასწავლებლები მყავდნენ, მხოლოდ მოწიფული ასაკში მივხდით და დავაფასე ოჯახის როლი და გავლენა ადამიანის ფორმირებაზე, მისი როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაზე. მხოლოდ სიბერეში შემძლია სრულად გავიგო მშობლების მაგალითის, მათი პიროვნული ზეგავლენის ფასი.” - იგონებს ქალბატონი ნინო.



ნინო ჯავახიშვილი მშობლებთან და დასთან ერთად.

ნინო ჯავახიშვილი 1920 -1930წ.წ. სწავლობდა I საცდელ – საჩვენებელ შრომის სკოლაში (ამჟამინდელი I საშულო სკოლა).



სკოლაში ქართულ ენაზე სწავლება სამი –ოთხი წლის დაწყებული იყო, მაგრამ უკვე შემუშავებული ჰქონდათ ქართული ტერმინოლოგია არა მარტო ჰუმანიტარული საგნებისათვის, არამედ მათემატიკასა და ფიზიკისათვის, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ პედაგოგთა ბრწყინვალე თაობას, რომლებიც მაშინ სრულიად ახალგაზრდები იყვნენ. სკოლის გამგე (დირექტორი) მიხეილ ზანდუკელი, პედაგოგები: ტერენტი ვეფხვაძე, ვასილ აბდუშელიშვილი, დავით დონდუა, იაკობ ზედგინიძე, ივანე რატიშვილი და სხვები. სკოლაში პედაგოგთა შორის საოცარი პატივისცემის ატმოსფერო სუფევდა, იგრძნობოდა სკოლისადმი თავდადება და მათი კეთილისმყოფელი გავლენა მოსწავლეებზე.

სწორედ ამიტომ ამ სკოლის კურსდამთავრებულები წლების შემდგომაც ისე ხვდებოდნენ ერთმანეთს, როგორც ახლობელ ადამიანებს.



სკოლის დამთავრების 50 წლისთავზე, 1980 წლის ნოემბერი. შუაში დგას აკადემიკოსი რევაზ ნათაძე.

ნინო ჯავახიშვილის კლასიდან მრავალი თვალსაჩინო მოღვაწე გამოვიდა; მწერალი ქეთევან ქუჩუკაშვილი, პროფ. გიორგი ვაჩნაძე, პროფ. პავლე ჭანტურიშვილი, აკად. გიორგი ჭოლოშვილი, პროფ. გიორგი ხიმშიაშვილი, ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძე და სხვ.

სწორედ სკოლაში გატარებულმა წლებმა, იმ ატმოსფერომ, რაც იქ სუფევდა, გავლენა იქონია ქალბატონ ნინოს ხასიათის ფორმირებაზე. იგი გახლდათ კეთილშობილი, უზომოდ შრომისმოყვარე, საოცრად ერუდირებული, მეგობრული, კეთილმოსურნე, სამართლიანი და განსაკუთრებული პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი.

სკოლის დამთავრების შემდეგ, 1930 წელს ნინო ჯავახიშვილმა სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1935 წელს. მან იმთავითვე მიიპყრო პროფესორ-მასწავლებლების ყურადღება, განსაკუთრებით კი აკად. ალ. ნათიშვილის, როგორც ნიჭიერმა და შრომისმოყვარე სტუდენტმა. ალბათ ამანაც განსაზღვრა ქალბატონ ნინოს სიყვარული ადამიანის ანატომიისადმი და მისი შემდგომი მოღვაწეობა ამ დარგში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ნინო ჯავახიშვილი მისი მასწავლებლის, აკადემიკოს ალ. ნათიშვილის მიწვევით იწყებს მუშაობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ანატომიის კათედრაზე ჯერ ასისტენტად (1935-1946წ.წ.), შემდგომ დოცენტად (1946-1949წწ.).



ნინო ჯავახიშვილი (მარცხნიდან მეხუთე პირველ რიგში) სტუდენტებთან ერთად

ანატომიის კათედრა იყო ამ დარგის სპეციალისთა სამეცნიერო სკოლა, რომელსაც სათავეში ედგა ქართული ანატომიური სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი ალექსანდრე ნათიშვილი. ნინო ჯავახიშვილი მისი უსაყვარლესი მოწაფე გახლდათ. დიდი პედაგოგი მას თავის მემკვიდრედაც მიიჩნევდა, რაც მომავალში გამართლდა კიდევ.

დაბასიკათემა

ნინო აღეჟსანდრეს ასული ჯავახიშვილი-კომანიძემ დაამთავრა თბ.საბ.სამედიცინო ინსტიტუტი 1936 წ. და იმავე წელს ჩემი წარდგენით დაშვებული იქნა ზონშილური ანატომიის კათედრის ასისტენტად, სადაც მუშაობს აღნიშნულ თანამდებობაზე დღემდე.

ამ ნინოს განმარტებაში მან შეიძო მორფოლოგიური დისციპლინების საფუძვლიანი შესწავლა, დაეუფლა ანატომიურ ტექნიკას, გამოკვლევის მეთოდებს და მიიღო დიდი შედეგოვანი გამოხდობა. იგი ვაჩაძე შინაგანი-კუთხედი შეყვანილ მანისა სტუდენტთან. ჩემი დაჯავრებით აღარ ეძლევა კონკრეტული შედეგები ან ბაკალავრის, სანიტარულ მომხმარებელში, პირველი დახმარებაში და კათედრასთან კითხვობა დევეტებს ანატომიის ყველა თავებთან.

ამავე პერიოდში მის მიერ შესრულებულია 14-მეცნიერული შრომა 12-ქართულ ენაზე და 2-რუსულ ენაზე, მათში მისი არის ერთი საკავშირის დისციპლინა საბაჟინო "ჯავახიშვილი" ბავშვის ანტონოვიტოვსკის ცენტრის სახელით ანტონიის გადაკვანძის შემდეგ, რომელიც მის მიერ იყო დაეუფლი 1941 წ. ამჟამად დამთავრებული იქნა სალოქონო დისციპლინა რომელიც არის გაფორმების სტადიაში.

ნინო აღეჟსანდრეს ასული ჯავახიშვილი-კომანიძე არის სრულიად მომხმარებელი და ჩამოყალიბებული მეც. მუშაკი. და სარგებობს დიდი აქტივობით, როგორც სტუდენტთან ისე შრომის მასწავლებელთა შორის უბედობს აქტიურ მონაწილეობას სამოგლეობრივ და სანიტარულ მუშაობაში ვაჩაძე ქართული ენისა იყის რუსული, გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენები და აქვს უზარა მრავალმეტყველები გახლეს გამოჩენილი მეცნიერი.

მეცნიერებათა აკადემიის ს.ს.რ. აკადემიის
სამედიცინო ინსტიტუტი - *აღეჟსანდრე* /ან ნ. ნათიშვილი/
29.11.1946.

ანატომიის კათედრაზე მუშაობის პარალელურად 1941-1943 წლებში ნინო ჯავახიშვილი ლექციებს კითხულობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, 1943-1945 წლებში ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1936-1937 წლებში კი თბილისის მეორე საფერშლო სკოლაში კითხულობდა ქირურგიის კურსს.

1946 წელს, ალექსანდრე ნათიშვილის ინიციატივით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან დაარსდა ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი. ზუსტად განსაზღვრა რა მორფოლოგიური კვლევის

განვითარების სამომავლო მიმართულებები ქალბატონმა ნინომ ალექსანდრე ნათიშვილთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შექმნის საქმეში და დაარსების პირველი დღიდან გარდაცვალებამდე იგი მისი უცვლელი თანამშრომელი გახლდათ: 1946-1951წ.წ. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, 1951-1958წ.წ. განყოფილების გამგე, 1958-1959წ.წ. დირექტორის მოადგილე.

1959 წლიდან, აკად. ალექსანდრე ნათიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ნინო ჯავახიშვილი სათავეში ჩაუდგა ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნახევარი საუკუნის მანძილზე, ხოლო 2006 წლიდან 2012 წლამდე გახლდათ მისი საპატიო დირექტორი.



ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივთან

ნინო ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა ალ. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტთანაა დაკავშირებული.



მისი სამეცნიერო გამოკვლევები ეძღვნება ორ ძირითად პრობლემას – ნერვულ და გულსისხლძარღვთა სისტემას.

ნინო ჯავახიშვილის ადრინდელი შრომების ნაწილი შეეხება ვარიაციული ანატომიის საკითხებს, მათში განვითარების ისტორიის თვალსაზრისით განხილულია ორგანოების, მათი სისხლის ძარღვების და

ნერვების სახეცვლილებები. ამ მორფოლოგიური მონაცემების საფუძველზე მიღებულია პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნები.

1941 წელს ნინო ჯავახიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ზურგის ტვინის წნულებისა და სიმპატიკური წველის მოწყობისა და ურთიერთობის საკითხებისადმი“, რომელიც ეხებოდა სამილე არტერიების გადაკვანძვის საპასუხოდ თავის ტვინის ანგიოარქიტექტონიკის ცვლილებებს. დადგენილ იქნა, რომ მას შემდეგაც კი, რაც დაზიანებულ მიდამოში კოლატერალური სისხლის მიმოქცევა განვითარებულია და აღდგენილია ქერქის სათანადო მიდამოს სხვა ქსოვილივანი ელემენტები, ტვინის კაპილარული ქსელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ნორმისაგან.

1941 წელს ნინო ჯავახიშვილს მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება, ხოლო 1948 წელს დოცენტის.



1948 წელს ნინო ჯავახიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ზურგის ტვინის წნულებისა და სიმპატიკური წველის მოწყობისა და ურთიერთობის საკითხები“. მის მიერ გვამურ მასალაზე შესწავლილი იყო სხეულის ორივე მხარეზე ზურგის ტვინის ყველა ნერვული წნულის,

სიმპათიკური წველის შემაერთებელი ტოტების ვარიაციული ფორმები. შესწავლის საფუძველზე აღინიშნა ნერვული სისტემის გარკვეულ მონაკვეთზე ასიმეტრიის და კონცენტრაციის ფაქტი, როგორც პროგრესული ნიშანი ამ მონაკვეთის უკეთ განვითარებისა, რომელიც ყველაზე უკეთ გამოიხატა მარჯვენა ზემო კიდურის საინერვაციო არეში, რაც განპირობებულია მისი დიდი ფუნქციური დატვირთვით.

ასეთი გამოკვლევები მანამდე არავის მიერ არ ყოფილა ჩატარებული. მიღებულ მონაცემებს პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა პერიფერიული ნერვული სისტემის პათოლოგიაში და მასზე ოპერაციული მიდგომის გზების განსაზღვრაში.

„ნინო ჯავახიშვილმა წარმოადგინა ზურგის ტვინისა და ვეგეტატიური ნერვული სისტემის პერიფერიული მონაკვეთის მრავალმხრივი და ფართო ანატომიური გამოკვლევა, შრომის ძირითადი მიზანი იყო სიმპათიკური წველის წნულების აგებულების ვარიაციული ფორმების დამუშავება და მათი კავშირების ხერხემლის სვეტის მთელ სიგრძეზე სხეულის ორივე მხარეს დადგენა. მთელი ამ აპარატის მთელ სიგრძეზე ნატიფი პრეპარირება ძალზე მძიმე და შრომატევადი სამუშაოა, რომელიც ავტორმა სავსებით დამაკმაყოფილებლად შეასრულა და წარმოადგინა რიგი ბრწყინვალედ შესრულებული ნახატები და პრეპარატები, რომლებიც თვალნათლივ წარმოაჩენენ ნერვული სისტემის ორივე ძირითადი ნაწილის ვარიაციულ ფორმებს და კავშირებს.“ – ასე შეაფასა შრომა აკად. ალექსანდრე ნათიშვილმა. აღნიშნული შრომა გამოქვეყნდა 1952 წელს მონოგრაფიის სახით - „ზურგის ტვინის ნერვული წნულებისა და სიმპათიკური წველის ფორმა და ურთიერთობა“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1952 წ.).

1948 წელს ნინო ჯავახიშვილს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, 1953 წელს კი პროფესორის წოდება მიენიჭა.

ნინო ჯავახიშვილის შრომების უმეტესი ნაწილი ეძღვნება სისხლძარღვთა სისტემის განვითარების საკითხებს, როგორც ონტო, ასევე ფილოგენეზში და მათ ცვლილებებს ექსპერიმენტის პირობებში. მის მიერ შესწავლილი იყო ცენტრალური ნერვული სისტემის ვასკულარიზაცია. კერძოდ, ადამიანის თავის ტვინის კაპილარების განვითარება ჩანასასახოვანი განვითარების მეორე ნახევრიდან დაბადების შემდგომ ერთი წლის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ ემბრიონალურ პერიოდში თავის ტვინის ქერქი იკვებება ორი მხრიდან, რბილი გარსიდან და პარაკუქებიდან შეჭრილი სისხლძარღვებით. ნაყოფის ზრდასთან ერთად

მნელდება ამ ორ სისტემას შორის კავშირის შემჩნევა და პირველი წლის ბოლოს თავის ტვინის ანგიოარქიტექტონიკა მნიშვნელოვნად უახლოვდება დეფინიტურს.

აგრეთვე შესწავლილი იყო თავის ტვინის ანგიოარქიტექტონიკის ცვლილებები სამილე არტერიების გადაკვანძვის და თავის ტვინის ტრამვის საპასუხოდ. ზურგის ტვინის პერიფერიული ნერვის გადჭრის შემდეგ, კაპილარული ქსელის ცვლილებების შესწავლის საფუძველზე, ავტორმა მოგვაწოდა ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ აღმავალი გადაგვარების საზღვრები გაცილებით დიდია და შედარებით სწრაფად აღწევს დაზიანებული ნერვის ტროფიკულ ცენტრს - ზურგის ტვინის ნერვულ უჯრედს. აღნიშნული დასკვნა მნიშვნელოვანია პერიფერიულ ნერვებზე აღდგენითი ოპერაციებისას.

ნინო ჯავახიშვილის შრომების ნაწილი შეეხება საჭმლის მომწელებელი სისტემის ვასკულარიზაციას. ალექსანდრე ნათიშვილთან და მემედ კომახიძესთან ერთად მან შეისწავლა ადამიანის და ძაღლის წვრილი და მსხვილი ნაწლავების არტერიები და კაპილარული ქსელის დატოტიანების მიდამობრივი თავისებურებანი და გაკეთდა პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნა წვრილი ნაწლავის გარკვეული მიდამოს უპირატესობაზე პლასტიკურ მასალად გამოყენებისათვის. ექსპერიმენტში ძაღლზე მოხდა წვრილი ნაწლავის მარყუჟის მსხვილ ნაწლავში ერთ მომენტად ჩანერგვა. ოპერაციიდან მოკლე პერიოდში აღინიშნა წვრილი ნაწლავის კაპილარული ქსელის გარდაქმნა და იგი მსხვილი ნაწლავის კაპილარული ქსელის სტრუქტურის მსგავსი გახდა.

მნიშვნელოვანი ექსპერიმენტულ-მორფოლოგიური გამოკვლევები ჩატარდა ღვიძლის არტერიის დაწყების და დატოტიანების ინტარორგანული შენების ვარიანტების შესასწავლად, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ღვიძლის ქირურგიაში.

ნინო ჯავახიშვილმა და მემედ კომახიძემ ერთობლივად დიდი წვლილი შეიტნეს გულის ვასკულარიზაციის შესწავლაში. მათ მიერ აღწერილ იქნა გვირგვინოვანი არტერიების დატოტიანების სამი ფორმა: სიმეტრიული, მარცხენა და მარჯვენამხრივი. მათ შორის ანასტომოზები იშვიათია, უფრო ხშირია წინაგულების მიდამოში. ანასტომოზები უმეტესად წვრილ ტოტებს შორისაა განვითარებული. გულის მიკროცირკულატორული კალაპოტის ასაკობრივი ცვლილებების შესწავლისას გამოვლენილი იქნა ის კომპლექსური მექანიზმები, რომლებიც ჩნდება ხანდასმულ ასაკში. მორფოლოგიური კვლევების საფუძველზე პირველად იქნა გაკეთებული ძალზე მნიშვნელოვანი

დასკვნა გულის პარკუჭებში ვენური სინუსოიდების განსაკუთრებულ როლზე კორონარულ არტერიებში სისხლისმიმოქცევის დაბრკოლებისას.



***აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი მეუღლესთან –
აკადემიკოს მემედ კომახიძესთან ერთად***

შეადარა რა გულის ვასკულარიზაციის ცვლილებები გამოწვეული: ასაკით, ასევე დაავადებებით (კარდიოსკლეროზით) და ექსპერიმენტში (გვირგვინოვანი არტერიების ტოტების გადაკვანძვით) ავტორმა დაასაბუთა გულის კუნთში სისხლის ნაკადის რეტროგრადული გზის არსებობა.

ნინო ჯავახიშვილის მიერ პირველად მსოფლიოში ექსპერიმენტულად იქნა დამტკიცებული, რომ ვენებით შეიძლება შეეცვალით არტერიული სისხლისძარღვები. ამ აღმოჩენას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გულის იშემიური დაავადების ოპერაციული მკურნალობისას და იგი დღეს ფართოდ გამოიყენება გულის შუნტირებისას.

ნინო ჯავახიშვილისა და მისი მოწაფეების მიერ ექსპერიმენტში შესწავლილი იყო გულის იშემიის დროს სისხლძარღვთა კალაპოტზე სხვადასხვა მედიკამენტების ზემოქმედება (პერსანტინი, გალიდოლი, ინტენსაინი). მოხსენებები მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით გაკეთდა

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, უნგრეთში, იუგოსლავიაში ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმებზე.

ასევე, გულის კონსერვაციის და მისი სასიცოცხლო თვისებების შენარჩუნებისათვის, ნინო ჯავახიშვილის მიერ ექსპერიმენტში აპრობირებული იყო სხვადასხვა მეთოდი.

მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგები გამოქვეყნებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერება“-ს მიერ 1964 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „გულის სისხლისძარღვები“. იგივე მონოგრაფია, შესწორებული და დამატებებით, გამოსცა სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „ნაუკა“-მ. მონოგრაფიაში მოცემულია როგორც საკუთარი შედეგები, ისე ლიტერატურის ფართო მიმოხილვა გულის გვირგვინოვანი არტერიების ნორმალური აგებულებისა და ანომალიების შესახებ.



ხანგრძლივი კვლევების საფუძველზე ნინო ჯავახიშვილმა გამოიტანა მნიშვნელოვანი დასკვნა გულის კუნთის კაპილარული ქსელის სურათის მიხედვით, კორონარული დაავადების სამკურნალოდ რომელი ქირურგიული მეთოდის გამოყენებაა შესაძლებელი. ასევე დაგინდა, რომ მიოკარდიუმის რევასკულარიზაციისათვის საჭიროა ნაკლებად ტრავმული ჩარევა, რათა არ განვითარდეს უხეში შეხორცებები ეპი და პერიკარდიუმს შორის.

ნინო ჯავახიშვილი ბრწყინვალე ექსპერიმენტატორია. როგორც პროფ. თ. ღობრაძე აღნიშნავს: „იგი კერავს უწვრილეს სისხლის ძარღვებს, როგორც უმაღლესი კლასის ანგიოქირურგი და აწარმოებს გულის გადანერგვას

როგორც გამოცდილი კარდიოქირურგი.”

ბოლო წლებში აკად. ვ.ბახუტაშვილთან ერთად, რომლის ხელმძღვანელობითაც შეიქმნა პრეპარატი პლაფერონი, სწავლობდა გულის იშემიის დროს სისხლის მიმოქცევაზე მის გავლენას. აკად. ვ. ბახუტაშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: „მე ქალბატონ ნინოს ვთხოვე ერთად გვემუშავა პლაფერონის ანტიიშემიური თვისებების შესწავლაზე. იგი დამთანხმდა. ეს იყო დიდი ბედნიერება, რადგან ქალბატონი ნინო ბრწყინვალედ ფლობდა იშემიის ექსპერიმენტული მოდელების შექმნას.“

ნინო ჯავახიშვილის მიერ ექსპერიმენტში შემოწმებული იქნა კორონარული უკმარისობის მკურნალობის ზოგიერთი ქირურგიული მეთოდი (პულმონო, ინტესტინო, პერი, ეპიკარდიოსკოპია) და გაკეთდა მნიშვნელოვანი დასკვნები. შედარებათა საფუძველზე გამოვლინდა მათი სამკურნალო თვისებების უპირატესობა კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში.

ნინო ჯავახიშვილმა მემედ კომახიძესთან ერთად ექსპერიმენტში შეისწავლა სისხლძარღვის კალაპოტში ჩაკერებული ზოგიერთი ხელოვნური ქსოვილის (კაპრონი, ლავსანი, დაკრონი, პოლივინილაცოგოლ, პოლიქლორვინილი) შეხორცების პროცესი და ჩატარებული ანალიზის საფუძველზე მოგვაწოდა ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა იქ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. არტერიულ კალაპოტში სხვა და სხვა სახის შემცვლელების ჩაკერვის შემდეგ, კაპილარული ქსელის სურათის მიხედვით გამოვლენილი იქნა პროტეზის შიგნითა მხარეს თავისებური კაპილარული ქსელის არსებობა, რითაც იგი განსხვავდება ნამდვილი სისხლძარღვის ინტიმისაგან. ავტორთა აზრით, ეს უნდა იყოს ხელოვნური სისხლძარღვის თრომბოზების მიზეზი, ვინაიდან მათი სანათურთან სიახლოვე და მტვრევადობა ხელს უწყობდეს სისხლის შედედების ჯაჭვურ რეაქციას. აღნიშნული მონაცემები მოხსენებულ იქნა ანატომთა IV საერთაშორისო კონგრესზე პრადაში 1962წელს, რუმინეთის სისხლძარღვთა პლასტიკურ ქირურგთა II კოპგრესზე ბუხარესტში 1964 წელს, ანატომთა VII საერთაშორისო კონგრესზე ვაისბადენში 1965 წელს.

ნინო ჯავახიშვილმა მემედ კომახიძესთან ერთად ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში მსოფლიოში პირველმა ექსპერიმენტში დაამტკიცა, რომ ვენებით შეიძლება შეიცვალოს არტერიები. ექსპერიმენტის პირობებში ცხოველის საკუთარ სამილე არტერიაში ჩანერგილი იყო საულლე ვენა, ბარდაყის ვენა ბარდაყის არტერიში, ხოლო თირკმლის არტერია შეიცვალა საკუთარი ვენით. სისხლძარღვები გაიკურა გუდოვის აპარატით. მასალის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ გადანერგილი

ვენის კედელი მნიშვნელოვნად გარდაიქმნება, სქელდება, ვასკულარიზაცია ემსგავსება არტერიის კედლის ვასკულარიზაციას. ავტორებმა მიღებული მონაცემების საფუძველზე გააკეთეს მნიშვნელოვანი დასკვნა – სისხლძარღვთა პლასტიკისათვის უპირატესობა ენიჭება ვენის აუტოტრანსპლანტაციას და შესამლებელია მისი გამოყენება გულის იშემიური დაავადების სამკურნალოდ. დღეს ეს მეთოდი წარმატებით გამოიყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში.



ბოლო წლებში, სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, ნინო ჯავახიშვილი ლექციებს კითხულობდა ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტთან არსებულ სამედიცინო ინსტიტუტ „კლინიცისტ“-ში. ასევე, ერთ ლექციას ანატომიის განვითარების ისტორიას შესახებ უტარებდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებს.

ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია ნინო ჯავახიშვილის მიერ წაკითხული ლექცია, მან კარგად იცის როგორ შეიძლება აქციო მშრალი და რთული საგანი საოცრად ადვილ და საინტერესო საგნად. ლექციების ილუსტრაცია ხდებოდა მისი ვეხელით შესრულებული ბრწყინვალე ნახატებითა და ტაბულებით. კარგი იქნება თუ მოხდება ამ ნამუშევრების ერთ წიგნად გამოშვება და ანატომიის ლექციებზე მათი გამოყენება.

ნინო ჯავახიშვილმა 6-ჯერ გამოსცა ხელახლად რედაქტირებული ალ. ნათიშვილის ბრწყინვალე სახელმძღვანელო „ადამიანის ნორმალური ანატომია“.

ჯავახიშვილი ფართო დიაპაზონის მკვლევარი გახლდათ, რომელიც თვლიდა, რომ მიზნის მიღწევა შესაძლებელია, თუ თეორია და ექსპერიმენტული კვლევა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. თავად ქალბატონი ნინო ბრწყინვალედ ფლობდა კვლევის ექსპერიმენტულ მეთოდებს. მას გააჩნდა საოცარი ნიჭი სწორედ განესაზღვრა ახალი სამეცნიერო მიმართულებები და ამ მიმართულებით წარემართა თავისი მოწაფეებისა თუ მომარბეული მკვლევარების საქმიანობა. ყველა ნაშრომს, სადისერტაციოს თუ სტატისათვის, იგი დიდი გულისყურით ამოწმებდა და ასწორებდა.

„ქალბატონი ნინო, როგორც რედაქტორი, თითოეულ შრომას დეტალურად განიხილავს. როცა ვამბობ დეტალურად, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თითოეულ სტრიქონს ჩაკირკიტებს და სულ მცირე უზუსტობასაც კი ამჩნევს და ასწორებს. არც ერთი სხვა ჟურნალის რედაქტორი არ ხარჯავს ამდენ შრომას და ენერგიას უამრავ სტატიათა რედაქტირებაში. თანაც სტატიები ჩვენ ჟურნალებში იბეჭდება სხვა სახელმწიფოებიდანაც. ეს ქალბატონ ნინოს სტილია და მასში ერთი ნოტაც არ არის ყალბი,“ – იხსენებდა პროფესორი თ. ღიბრაძე. ყველაფერ ამაში მას ხელს უწყობდა დიდი ერუდიცია, საფუძვლიანი განათლება და უცხო ენების ბრწყინვალე ცოდნა. ნინო ჯავახიშვილი 300 მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 43 ნაშრომი გამოქვეყნებულია უცხოეთში და 9 მონოგრაფიის ავტორია. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 47 დისერტაცია, მათ შორის - 20 სადოქტორო.

ნინო ჯავახიშვილი, გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. მან 66 წლის წინ დააფუძნა საქართველოს ქალთა საბჭო. ქალთა საბჭოს მამინ ჩაეყარა საფუძველი, როდესაც ჯერ კიდევ II მსოფლიო ომი მძვინვარებდა. ამ პერიოდში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფები. 1945 წელს პარიზში მოწვეულ იქნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ანტიფაშისტური კონგრესი, რომელშიც ქალბატონი ნინო მონაწილეობდა. კონგრესიდან დაბრუნებულმა გადაწყვიტა საქართველოშიც ჩამოეყალიბებინა ანალოგიური ორგანიზაცია, რომლის მთავარი მიზანი ქალთა როლის ამაღლება საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში და მათი უფლებების დაცვა იქნებოდა. მართლაც, ქ-ნ ნინოს ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით,

საქართველოს ქალთა საბჭომ უამრავი საქველმოქმედო აქცია და შეხვედრა განახორციელა. სწორედ ნინო ჯავახიშვილის ავტორიტეტის დახმარებით ქალთა საბჭომ გადაჭრა ბევრი პრობლემა. მისი ოცნება და მიზანი იყო, რომ ქვეყანაში არ ყოფილიყვნენ დაჩაგრული ქალები ბავშვები. მას სურდა, ყველა ქალს ეთქვა, რომ ბედნიერია.

ნინო ჯავახიშვილს მჭიდრო კავშირი ჰქონდა მსოფლიოს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და აქტიურად მონაწილეობდა სხვა და სხვა საერთაშორისო კონგრესებში. მათ შორის: ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის კონგრესი კოპენჰაგენში (1953წ.), II საერთაშორისო კონგრესი ბუდაპეშტი (1948წ.), ქსდფ კონგრესი პრაღა (1981წ.) ასევე სხვადასხვა ქვეყნების ქალთა კონგრესებში, როგორც საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის დელეგაციის წარმომადგენელი; იტალია (1947წ.), ალბანეთი (1950წ.), ინგლისი (1951წ.), აშშ (1957წ.), ეთიოპია (1959წ.), კვიპროსი (1962წ.), ურუგვაი და ჩილე (1965წ.), იტალია (1966წ.), გერ (1976წ.), გვადალუპე (1978წ.), რეუნიონი (1978წ.), გდრ (1983წ.), გერ (1991წ.), როგორც ქვეყნის კულტურის წარმომადგენელი შვედეთში (1952წ.), ხალხთა მშვიდობის დასაცავად კონგრესში ვენა (1952წ.), საზოგადოება „ცოდნი“-ს დელეგატი საფრანგეთში (1970წ.), დორტმუნდის VII კონფერენციაში აშშ (1972წ.), საზოგადოება „ცოდნა“-ს დელეგატი ავსტრიაში (1984წ.), თურქეთში (1976წ.), საქართველოს მთავრობის დელეგაცია ბელგიაში (1991წ.).

ნინო ჯავახიშვილი იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს 1947 წლის II, III, IV და V მოწვევის დელეგატი და ამავე პრეზიდიუმის წევრი 1953-63 წ.წ-ში. იგი არაერთჯერ (1949,1950,1951,1952,1955,1960,1962წ.წ.) გახლდათ მშვიდობის დაცვის საკავშირო კონფერენციის დელეგატი. არჩეული იყო საბჭოთა ქალთა კომიტეტის წევრად 1945 წელს, საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრად 1949 წელს, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საქართველოს რესპუბლიკური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად 1958 წელს, თავჯდომარის მოადგილედ 1966წელს. იგი, ასევე, გახლდათ ქალთა ანტიფაშისტური კომიტეტის წევრი, უმაღლესი საატესტაციო კომისიის პლენუმის წევრი, საზოგადოება „ცოდნი“-ს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საზოგადოების თავჯდომარე. საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის, მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის, ეკოლოგიური აკადემიის წევრი, აჰე საკავშირო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, გერონტოლოგთა და გერიატრთა საკავშირო საზოგადოების წევრი; ბულგარეთის, უნგრეთის, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის აჰე საზოგადოების, ჩეხოსლოვაკიის პურკინიეს

საზოგადოების წევრი. იყო მრავალი სარედაქციო კოლეგიის წევრი და რედაქტორი: არხივ აგე – მორფოლოგია (რუსეთი), „Morphology“, „Acta Anatomica“ (შვეიცარია), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“ (ბიოლოგიური სერია), „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა“ (საქართველო); ასევე, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი.



ნინო ჯავახიშვილი მრავალი საერთაშორისო და საკავშირო სესიებისა და თემატური კონფერენციების ორგანიზატორი და თავჯდომარე გახლდათ. ბულგარელ მორფოლოგ კონგრესი (1959წ.), ჩეხოსლოვაკიის მორფოლოგთა XII კონგრესი (1974წ.), სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული კარდიოქირურგიის ინსტიტუტის კონფერენცია (1975წ.), იუგოსლავიის ანატომთა XXII კონგრესი (1975წ.) ბულგარელი აჰე საზოგადოების ნაციონალური კონგრესი 1978წ.), იუგოსლაველ მორფოლოგთა სიმპოზიუმში (1979წ.), ჩეხოსლოვაკელ მორფოლოგთა XXV კონგრესი (1982წ.), სლოვაკიის მეცნი-

ერებათა აკადემიის ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტის X კონფერენცია(1985წ.), სლოვაკეთის გერონტოლოგიის ინსტიტუტში (1988წ.), გერმანიის ანატომთა საზოგადოების 84-ე კონგრესი (1998წ.), უფხო ქვეყნებთან კავშირის საზოგადოების ექიმების დელეგაცია იაპონიაში (1998წ.), მივლინება უელსის უნივერსიტეტში (1989წ.), დიდი ბრიტანეთი ევროპელ სპეციალისტების I შეხვედრა „მიოკარდის სტრუქტურა და ფუნქცია“ (ესპანეთი, 1995წ.), დიუსელდორფის უნივერსიტეტის სიმპოზიუმში „კორონარული ნაკლოვანების უკმარისობის მკურნალობა ლაზერით“ (1997წ.), პირველი საერთაშორისო კონფერენცია BSEC ექიმების (თურქეთი, 1999წ.), II საერთაშორისო კონფერენცია BSEC

ქვეყნებისა „კლინიკური და თეორიული მედიცინის აქტუალური საკითხები” (თურქეთი, 2000წ.), ჯანდაცვის საერთაშორისო ფორუმი (იაპონია,2005წ.).



ნინო ჯავახიშვილს ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო - ღირსების ორდენი, ლენინის ორდენი, საპატიო ნიშნის ორდენი, მედალი მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში 1943-1945წწ., მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1961 წელს არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1965 წელს კი - აკადემიკოსად. არჩეულია 2003 წლის ქალად „Who Is Who” (IX ტომი) და ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის მრჩეველად.



ამერიკის ინსტიტუტის მიერვე 2005 წლის 25 ნოემბერს ნომინირებულია XXI საუკუნის დიდ მოაზროვნედ.

ნინო ჯავახიშვილს მისი ხანგრძლივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდში მრავალ საინტერესო ადამიანთან მოუწია შეხვედრა, რომლებთანაც მას პირადი ურთიერთობა და მიმოწრა აკავშირებდა. მათ შორის იყვნენ: ცოლ-ქმარი ჟოლიო კიურები, პოლ ლანჟევენი, ექენი კოტონი, დოლორეს იბარური, ანა სეგრესი, პალმირო ტოლიატი, მორის ტორესი, ედვარდ კენედი და სხვა.

ქალბატონ ნინოს ახლო მეგობრობა ჰქონდა ქართული კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებთან: ელენე ახვლედიანთან, ქეთევან მაღალაშვილთან (რომელმაც მისი ორი, შესანიშნავი პორტრეტი შექმნა), ლადო გუდიაშვილთან, ირაკლი აბაშიძესთან, იოსებ გრიშაშვილთან, გიორგი ლეონიძესთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან, ნიკოლოზ მუსხელიშვილთან, გრიგოლ მუხაძესთან, იუსტინე ჯანელიძესთან. ასევე რუს კოლეგებთან: გრიგოლ პეტროვსკისთან, ალექსანდრე ვიშნევსკისთან, ტონკოვთან, კულჩინსკისთან და ბევრ გამოჩენილ ადამიანთან.

ნინო ჯავახიშვილის საოჯახო ალბომში ნახავთ საქართველოს პატრიარქთან - უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-სთან, არქიეპისკოპოს მაკარიოსთან გადაღებულ სურათებს.





მისი ბინის კედლებს ამშვენებენ ქართველი მხატვრების მიერ შესრულებული ქალბატონი წინოს პორტრეტები. როგორც საოცარი სილამაზის მქონე ქალბატონს, მას ლექსბსაც ხშირად უძღვნიდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ იგი თავადაც შესანიშნავად ხატავდა და მისი ნახატების გამოფენა ალბათ მსოფლიო რანგის მეცნიერის კიდევ ერთ საოცარ ნიჭს გამოამზეურებს, რაც საზოგადოებას ნამდვილად აღაფრთოვანებს. მას ხომ თავდაპირველად სწორედ სამხატვრო აკადემიაში სურდა ჩაბარება. თუმცა, საბოლოოდ მაინც მედიცინა აირჩია.

ნინო ჯავახიშვილი ბრწყინვალედ ფლობდა მრავალ უცხო ენას. მას შემოვლილი ჰქონდა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, სადაც ყოველთვის ღირსეულად წარმოაჩენდა თავის სამშობლოს.

ნინო ჯავახიშვილმა სრულიად ახალგაზრდამ, 18 წლის ასაკში თავისი ცხოვრება დაუკავშირა შემდგომში ცნობილ ქირურგს, მედ. მეცნ. დოქტორს, აკადემიკოს მემედ კომახიძეს. მათ არამარტო დიდი სიყვარული, არამედ მაღალი პროფესიონალიზმი და ერთიერთ-პატივისცემა აკავშირებდათ. ისინი ერთად იღწვოდნენ სამეცნიერო ასპარეზზე და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, გამოგონებისა და აღმოჩენის თანაავტორები არიან.



„როდესაც ბიძაჩემი და ბიცოლაჩემი ოჯახს ქმნიდნენ, მათ ერთმანეთის მიმართ არ ურკვევიათ, ვინ თავადური შტოს წარმომადგენელია, ვინ –აზნაურის, ვის როგორი მამა ყავდა და ასე შემდეგ. ეს იმდენად, რამდენადაც მათი ურთიერთობა, მათი სიყვარული ნამდვილი, გულწფერი, საღი, ნაღდი იყო და არანაირ ანგარებაზე დაყრდნობილი. მიმაჩნია, რომ ამიტომაც იყო ისინი ასე შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ ათეუული წლების განმავლობაში, ასე უგებდნენ ერთმანეთს, საოცრად სჯეროდათ ერთმანეთის, უყვარდათ

ერთმანეთი, უდიდეს პატივს მიაგებდნენ ურთიერთს და, უპირველესად, კარგად ესმოდათ ერთმანეთისა, ერთმა იცოდა მეორე რას აკეთებდა, რისთვის იღწვოდა და მეორე ცდილობდა ყოველნაირად შეეწყო მისთვის ხელი“ – იგონებს ბატონი მემედის ძმისშვილი თეიმურაზ კომახიძე.

ხშირად ბატონი მემედი ქალბატონ ნინოს იწვევდა კლინიკაში სისხლისძარღვებზე ურთულესი ოპერაციების ერთად გასაკეთებლად. ასევე, იყო ომის დროს სამხედრო ჰოსპიტალშიც და ასევე მშვიდობიან დროსაც.



ქალბატონ ნინოსა და ბატონ მემედს მართალია შვილი არ ყავდათ, მაგრამ მათ ოჯახში აღიზარდა კომახიძეებისა და ჯავახიშვილების დიდი საგვარეულოს მრავალი წარმომადგენელი. ქალბატონ ნინოს დისშვილები ნანა, თამარი და მაკა მაჭავარიანები, მათი მეუღლეები, შვილები, შვილიშვილები, რძლები, სიძეები - ეს იყო ის დიდი ოჯახი, რომლის დიასახლისიც გახლდათ ქალბატონი ნინო და სადაც სუფევდა სიმშვიდე, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა.

ნინო ჯავახიშვილი არამარტო დიდი მეცნიერი, არამედ შესანიშნავი დიასახლისიც გახლდათ. მისი ხელები ერთნაირი წარმატებით ასრულებდნენ ურთულეს ოპერაციებს, საქმიანობდნენ სამხარეულოს ქურასთან, საკერავ მანქანასთან, საქსოვ დაზგასთან თუ საქარგავთან.

„ნინო ჯავახიშვილს რომ არ ეხერხებოდეს არ ვიცი რა შეიძლება იყოს. სამი დისშვილი, სამი სიძე, ორი რძალი, ექვსი დისშვილიშვილი, და ორი დისშვილისშვილი შვილი მისი იმედით ვართ. ის არის ოჯახის ბურჯი, ღერძი, იმედი. ყოველდღიურად დილის შვიდი საათიდან მოყოლებული უზომო დატვირთვით მუშაობს, თავს არ ზოგავს სამსახურში (ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია), რომელიც ქალაქის ბოლოს მდებარეობს, ყოველ დღით საზოგადოებრივი ტრანსპორტით დადის, კითხულობს ლექციებს, ახალგაზრდებს აკვლიანებს, ესწრება ყველა ღონისძიებას, არც ერთ საღამოს არ ტოვებს, რომ არ მოინახულოს ნათესავები ოჯახში. სადილი, სარეცხი, ჭურჭელი, კერვა, ქსოვა, ყველაფერი მის ხელთაა. უყვარს კლასიკური მუსიკის მოსმენა, ძალიან უყვარს კითხვა, პოეზია. ნინო ეს არის სიბრძნე, პატიოსნება, თავმდაბლობა, მაღლი, მტკიცე ნებისყოფა, საკუთარი ემოციების, განცდების მფლობელი. ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი, როდესაც გრძნობ, რომ მას თავად სჭირდება თანადგომა, სხვას ამხნევეს თავისი შემართულებითა და გაუტეხელობით, ამ გაუტეხელობისა და შემართების მიღმა იმალება სანტიმენტალური, მშვენიერი ქალი. მისი ახალგაზრდობის ფოტოსურათი შეტანილია დამანა მდივნიშვილის ულამაზეს ქალთა ალბომში,“ – ასე ახასიათებს მას მისი დისშვილიშვილი მაია აბზიანიძე.



სამი აკადემიკოსი: მამა – ალექსანდრე ჯავახიშვილი, შვილი – ნინო ჯავახიშვილი და სიძე – მემედ კომახიძე

ნინო ჯავახიშვილმა ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნა ნათელი გონება, მტკიცე ნებისყოფა და საოცარი ქალური ხიზლი. იგი სიკვდილის ბოლო წუთამდე თავაუღებლად მუშაობდა, მის საწერ მაგიდაზე დაუსრულებელი სამეცნიერო ნაშრომი დარჩა. სწორედ სამსახურში მოიჩქაროდა, როცა გზად, 97 წლის ასაკში, სიკვდილი წამოეწია. ასე შეუერთდა ქართული სამედიცინო მეცნიერების დედოფალი მარადისობას.

მოგონებები . . .



მოგონებები . . .

უდიდეს მეცნიერს, შესანიშნავ პიროვნებას და დიდ მამულიშვილს ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს გულითადად ვულოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს.

ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა ასეთი შვილით.

ღმერთმა დალოცოს ქალბატონი ნინო და კვლავაც მრვალჯამიერ ერთგულად ამსახუროს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
2 ნოემბერი, 2009 წელი.



„განსაკუთრებით მინდა შევჩერდე ქალბატონ ნინო ჯავახიშვილის პიროვნულ თვისებებსზე, მის მეცნიერულ, პედაგოგიურ და მრავალფეროვან, ყველასათვის მისაბამ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. ამის უფლებას მაძლევს მასთან მუშაობის 5 ათეულ წელზე მეტი. ქალბატონი ნინო შესანიშნავ ოჯახში აღზრდილი სამაგალითო, უაღრესათ კეთილშობილი ადამიანია. სამაგალითოა იგი განათლებით, ერუდიციით, მამულიშვილობით, კაცთმოყვარეობით, პრინციპულობით, უბრალოებით. იგი, როგორც იტყვიან, დიდთან დიდია და პატარასთან – პატარა, ყოველ სიტუაციაში ერთნაირია, ქალბატონი ნინოა. ბევრს გონია, რომ ქალბატონი ნინოს გზა ფიანდაზითაა მოყვნილი, რაც ცხადია, შორსაა ჭეშმარიტებისაგან.

ქალბატონი ნინო სწორედ იმიტომაა გამორჩეული ადამიანი, რომ აირჩია ცხოვრების ერთადერთი სწორი გზა – გზა კაცთმოყვარეობის, უბრალოების, წინააღმდეგობათა გადალახვის. განა ამის გარეშე შეიძლებოდა მომხიბვლელ ახალგაზრდას ჯერ კიდევ 26 წლის ასაკში დაეცვა საკანდიდატო, ხოლო 34 წლისას სადოქტორო დისერტაცია. იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, რამდენიმე უცხო ენას დაუფლებული, დამსახურებულად მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. შესანიშნავი მეცნიერი, ერუდიტული მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე არჩეულია მრავალი რესპუბლიკური და საერთაშორისო, სამედიცინო, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრად ან ხელმძღვანელად. დიდია ქალბატონ ნინოს ღვაწლი მშვიდობის დაცვის ქალთა კომიტიტის და მათი უფლებების დაცვის საქმეში. მას მოვლილი აქვს მსოფლიოს ყველა კონტინენტის თითქმის ყველა სახელმწიფო და ყველგან საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ქალბატონ ნინოს დიდი ორგანიზატორული ნიჭი, მეცნიერული ალღო, ზებუნებრივი სიკეთე და პრინციპულობა ინსტიტუტში ქმნის შემოქმედებითი მუშაობის საშურ ატმოსფეროს.”

უჩა გაბუნია: ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის პათომორფოლოგიის განყოფილების გამგე, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.



„აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი ეკუთვნის საქართველოს გამოჩენილ ადამიანთა რიცხვს. ის გახლდათ ერთ-ერთი პირველი ქალი – ანატომი პროფესორი. გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ქართული გეოგრაფიული სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ქალიშვილმა, მკლევრის ტალანტი ახალგაზრდობაშივე გამოავლინა. დღეს საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი არის მძლავრი მეცნიერული კერა, რომელიც შექმნა აკადემიკოსმა ალექსანდრე ნათიშვილმა და მისი საქმე ღირსეულად გააგრძელა და კიდევ უფრო, ერთსულოვან, მიზანსწრაფულ კოლექტივად აქცია ნინო ჯავახიშვილმა.

ანატომია, ძირითადად აღწერილობითი მეცნიერებაა, მაგრამ ნინო ჯავახიშვილის შრომები იმთავითვე გამოირჩეოდნენ ფუნქციური მიმართულებით და მისი თითქმის ყველა გამოკვლევა, მიძღვნილი მიკროცირკულაციის ან მორფოლოგიის სხვა საკითხებისადმი ამ პოზიციიდანაა შესრულებული. ამიტომაცაა, რომ კვლევა ასე მჭიდროდ უკავშირდება სამედიცინო პრაქტიკის საკითხებს. ნინო ჯავახიშვილი მრავალი საერთაშორისო და საკავშირო სესიებისა და თემატური კონფერენციების ორგანიზატორიცაა.

ფართო ერუდიციის და დიდი სიმდიდრის ადამიანის, ქალბატონ ნინო ჯავახიშვილის ინტერესების სფერო მხოლოდ სამეცნიერო მოღვაწეობით არ შემორფარგლება. ასე აღელვებს, აინტერესებს და იზიდავს ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდება. იგი ყოველთვის მოვლენათა შუაგულშია. როგორც აქტიური მონაწილე, ყველა ამ საპატიო და შრომატევად მოვალეობას იგი ჩვეული გულმოდგინებით, კეთილსინდისიერებით და, რაც მთავარია, უდიდესი კეთილგანწყობით ასრულებს. მას კი დიდი სარგებლობა მოაქვს საერთო საქმისათვის, რადგან მის გარშემო მყოფ ადამიანებს უადვილებს და ეხალისებათ მასთან ურთიერთობა და მუშაობა.

ვფიქრობთ, ბედნიერია კოლექტივი, რომელსაც ასეთი მეცნიერი და დამრიგებელი მესვეურობს. ეს ხომ დიდი ცხოვრებისეული სკოლაცაა.

ვინც ქალბატონ ნინოს პირადად იცნობს დაგვეთანხმება, რომ საზოგადოების წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, უტყუარი მეცნიერული ალღო და ადამიანებთან ურთიერთობაში სისადავე მას გამოარჩევს როგორც მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს და მოქალაქეს.”

თენგიზ ონიანი: აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს მდივანი

„აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილზე, როგორც თვალსაჩინო ქართველ მეცნიერზე, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სარბიელზე დამაშვრალ მოღვაწეზე და არაჩვეულებრივი პირადი თვისებებით უხვად შემკულ პიროვნებაზე მსჯელობა არცთუ ისე ადვილია, მაგრამ ჩემთვის ამ სასიამოვნო მოვალეობას იმით გავიადვილებ, რომ გავიხსენებ მასთან ჩემი ურთიერთობის საწყის პერიოდს, როდესაც თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული, აკადემიკოს მემედ კომახიძის რეკომენდაციით ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტს მივაშურე. ნინო ჯავახიშვილს პირადად არ ვიცნობდი, მივადექი ოთახს, რომელსაც ეწერა დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, დავაკაკუნე, ოთახში თამამად შევდგი ფეხი და მაშინვე შევცბი; ჩემს წინ იდგა აუწერელი სილამაზის ქალი, ვერც სიტყვის ამოღება მოვახერხე, ვერც ადგილიდან დავიძარი. ქალბატონ ნინოს გაეცინა და მითხრა, რომ იცის ჩემი მისვლის მიზეზი. საუბარი მორფოლოგიას შეეხო. ჩემდაუნებურად დავასკვნე, რომ მე თურმე მორფოლოგიაში მუშაობა მინდოდა. ჩემი ეს გადაწყვეტილება შედეგი იყო ქალბატონ ნინოს უსაზღვრო გულითადობისა და კეთილგანწყობის, ადამიანებთან ურთიერთობისას ზედმიწევნითდა ხვეწილი ტაქტისა და კეთილმოსურნეობისა.

ქალბატონ ნინოსთვის მთავარი ადამიანია, მისი ღირსებისადმი ფაქიზი დამოკიდებულება. მაშნაც კი, როდესაც მოპაექრე სცოდავს ჭემმარიტების წინაშე, ასეთ შემთხვევაშიც კი ქალბატონი ნინოს აზრით, აუცილებელია მისი წახალისება - მხარდაჭერა, ოღონდ საჭიროა, აგრეთვე იგი თავის შეცდომაში გაარკვიო, და ბოლოს, ისევ მხარი დაუჭირო.

ქალბატონი ნინო ყოველთვის იტყვის იმას, რასაც ფიქრობს. მე არ ვიცი არც ერთი ადამიანი, ვინც ქალბატონ ნინოს დამოკიდებულებით გულნაკლული იყოს. ვფიქრობ, ბედნიერია ის კოლექტივი, რომელსაც შესაძლებლობა აქვს თავისი ხელმძღვანელისა და დამრიგებლის კეთილი თვისებები შეიმეცნოს.”

ნოდარ ჭიჭინაძე: ალექსანდრე ნათიშვილის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



სიბრძნე იმარჯვებს თუ გონიერება და ძალაუფლება ერთ პიროვნებაშია. არიან ადამიანები, რომლებიც თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში აღწევენ აღიარებას და ღირსეულ ადგილს იკავებენ ერის ისტორიაში. ეს ერთეულთა ხვედრია და მათ რიცხვს მიეკუთვნება ნინო ჯავახიშვილი.

ქალბატონ ნინოს სტუდენტობიდან ვიცნობდი. მომავალ მედიკოსებში აღტაცებას და მოწიწებას იწვევდა ნინო ჯავახიშვილი, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში უკვე ქართული სამედიცინო მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენელი და საზოგადო მოღვაწე იყო. შემდგომში წილად მხვდა ბედნიერება მემუშავა მასთან და ამ მშვენიერ, დიჯ ქალბატონში, მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად დამენახა დიდი შინაგანი არისტოკრატიზმი, ინტელიგენტური თავმდაბლობა, სისადავე და ადამიანური ხიბლი. განსაკუთრებით ფასეულია ჩემთვის ქალბატონ ნინოსაგან მიღებული ცხოვრებისეული და ადამიანთა შორის ურთიერთობის გაკვეთილები, როგორ უანგაროდ ზრუნავდა ის თავისი მოწაფეებისა და თანამშრომლების პროფესიულ დახელოვნებაზე, იზიარებდა მათ პირად ტკივილს და სიხარულს. შწორედ ეს იყო მისი მაღალი ავტორიტეტის „დიდი საიდუმლო“ – გონიერებისა და ძალაუფლების სინქრონი.

ქალბატონ ნინოს დიდი მხარდაჭერით ინსტიტუტში 1969 წ. ჩამოყალიბდა გერონტოლოგიის განყოფილება, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში პირველი სტრუქტურული ერთეული გახლდათ დაბერების ბიოლოგიისა და სოციალური გერონტოლოგიის დარგში. 1979 წ. კი ქალბატონ ნინოს მხარდაჭერითა და ხელმძღვანელობით გერონტოლოგიისა და გერიატიის პრობლემური საბჭო. განყოფილება აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო გერონტოლოგიურ კონფერენციებში, მსოფლიო კონგრესებში. მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი, როდესაც ვატარებდით ამერიკელ და რუს კოლეგებთან ერთად ექსპედიციას აფხაზეთის სოფელ ჩლოუში, მოგვიტანეს რუსულ ენაზე დაწერილი ანონიმური წერილი ქართული ექსპედიციის ხელმძღვანელის სახელზე, სადაც ეწერა „თქვენ ქართველები აფხაზებს ექსპერიმენტული ცხოველებით გვექცევით, სისხლს გვიღებთ, რათა დაამტკიცოთ, რომ ჩვენც ქართველები ვართ. გამლევთ 24 საათს, რათა დაცალოთ სოცელი“. ნათელი იყო, ვიდაცას აღიზიანებდა, რომ ჩვენ ქართველები ვსწავლობდით აფხაზების სისხლის გენეტიკურ პოლიმორფიზმს და აწყობდათ ჩვენი დაპირისპირება ადგილობრივ მოსახლეობასთან. რჩევს ადვის დაურეკე ქალბატონ ნინოს, ავუხსენი საქმის ვითარება და ვკითხე როგორ გვემოქმედა ადგილზე. მცირე ხნის დუმილის შემდეგ

ქალბატონმა ნინომ გვიჩვენა დროებით შეგვეწყვიტა მუშაობა ძირითადი პროგრამით, სამაგიეროდ გამოგვეცხადებინა „ღია კარის დღე“ და მაღალი დონის სამედიცინო დახმარება აღმოგვეჩინა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. ამან საშუალება მოგვცა მჭიდრო და ახლო ურთიერთობა გვექონოდა მოსახლეობასთან. 10 დღია განმავლობაში სამედიცინო მომსახურება გაეწია 500 პიროვნებას. პაციენტები ჩამოდიოდნენ აფხაზეთის სხვა და სხვა სოფლებიდან, ზოგჯერ ბინაზეც გვთხოვდნენ გასინჯვას და სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. ამ აქციამ საურველი შედეგი გამოიღო – ყველა ოჯახი ცდილობდა მივეპატიჟებინეთ და ჩვენს სტუმრობას დიდ დღაფასებად თვლიდნენ.—ექსპედიციამ წარმატებით ჩაიარა და ეს ინციდენტი მხოლოდ კეთილ მოგონებად დარჩა: თუ როგორ მიიღო ქალბატონმა ნინომ ერთადერთი სწორი, მაგრამ არაორდინარული გადაწყვეტილება, როგორი დიდი ნდობა გამოგვიცხადა და მხარში ამოგვიდგა უმცროს კოლეგებს. ინტრიგის ნაპერწკალი სიტბოდ აქცია, რომელიც შემდგომ მუშაობაში მკაფიოდ გამოიკვეთა. ვფიქრობ ბედნიერი იქნება მომავალი თაობა, თუკი ასეთი ძლიერი დასაყრდენი ეყოლება, როგორც ქალბატონი ნინო ჯავახიშილი იყო.

ი. დალაქიშვილი თსუ ალ. ნათიშვილის ორფოლოგიის ინსტიტუტი, გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი



„ჩვენ შემეცნებაში ნინო ჯავახიშვილი თავდაპირველად აღიბეჭდა როგორც ქირურგი, ხოლო შემდგომ – ანატომი, რადგან არაერთხელ გვინახავს მისი ოპერაციები მსხვილი სისხლძარღვების ანევრიზმების, გადანერგვისა და პლასტიკის გამო.

ანათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში ასპირანტურაში სწავლისა და შემდგომი მუშაობის წლებშიც აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილთან ახლო ურთიერთობა წარიმართა, რადგან მას უყვარდა ახალგაზრდები, ამდენად ყოველთვის იგრძნობოდა მისი მხარდაჭერა, რომელიც ახლის ძებნის სტიმულს გვაძლევდა.

ნინო ჯავახიშვილს ყოველთვის აინტერესებდა მორფოლოგიური კვლევის ახალი მეთოდების დანერგვა, მათ შორის, ელექტრონული მიკროსკოპიისაც. უნდა ითქვას, რომ პროფესორ ზურაბ ცაგარელის მიერ, პირველად საქართველოში, ელექტრონულ-მიკროსკოპული კვლევის გამოყენება კლინიკურ პათოლოგიაში, მნიშვნელოვან წილად ქალბატონი

ნინოს ინიციატივით მოხდა. მას ეკუთვნოდა აგრეთვე იდეა ჰიპერბარული ოქსიგენაციის გამოყენების შესახებ. ამ იდეის განხორციელებას მოჰყვა ექსპერიმენტული ბაროკამერის შექმნა, არაერთი მივლინება და სამეცნიერო კონტაქტები საზღვარგარეთ, მოსკოვის ქირურგის ინსტიტუტსა და მის ბაროცენტრში, აკადემიკოს ბორის პეტროვსკისა და სერგეი ეფუნისთან ერთობლივი სამეცნიერო პროგრამების დამუშავება.

პროფესორი ზურაბ ცაგარელი იგონებს: ქალბატონ ნინოსთან არაერთი საუბრისა და განსჯის შემდეგ გადავწყვიტე შემესწავლა ორგანიზმზე ჰიპოქსიის ზემოქმედების სტრუქტურული საფუძვლები. მან დამარწმუნა, რომ მხოლოდ უჯრედული მექანიზმების გარკვევით შეიძლებოდა ორგანიზმზე ჟანგბადის უკმარისობის ზემოქმედების შესწავლა დაზიანების და აღდგენის მექანიზმების დადგენა და, მასასადამე, მასთან ბრძოლა.

ნინო ჯავახიშვილის დიდი სამეცნიერო ავტორიტეტი, მისი ახლო მეგობრობა თანამედროვეობის გამოჩენილ მეცნიერებთან ჩვენთვის, მისი მოწაფეებისათვის იყო იმ დიდი მხარდაჭერის საფუძველი, რასაც თითოეული ჩვენგანი გრძნობდა საზღვარგარეთ მივლინების თუ სამეცნიერო კონფერენციების მუშაობის დროს, საკმარისი იყო გეთქვა, რომელ ინსტიტუტში შესრულდა შრომა, რომ მისთვის ყოველთვის ღია იყო კარი სამეცნიერო ფორუმზე თუ ჟურნალში.

ვცდილობთ ჩვენი მასწავლებლის სახელი და სამეცნიერო სკოლის ტრადიციები ღირსეულად გავაგრძელოთ და განვაავითაროთ.”

ზურაბ ცაგარელი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

ლიანა გოგიაშვილი: თსუ ა.ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



„საყვარელი საქმისადმი უზომოდ თავდადებული და საოცრად შრომისმოყვარე, პრინციპული, სამართლიანი, კაცთმოყვარე, უბრალო, გამორჩევა მაღალი პროფესიონალიზმითა და არისტოკრატიზმით, უნიჭიერესი, მტკიცე ნებისყოფის, თავმდაბალი, მოსიყვარულე და ბოლოს - ულამაზესი. ძნელია რაიმე დაუმატო ამ ეპითეტებს, რითაც არის შემკული ქალბატონი ნინო ჯავახიშვილი. თუმცა თვისებათა ეს ჩამონათვალი, რომელიც თავმოყრილი იყო ამ ერთ ადამიანში, სრულად მაინც ვერ გადმოგვცემს ქალბატონი ნინოს ფიზიკურ და სულიერ სამყაროს, მის ადამიანურ ბუნებას.

და მე მხვდა ბედნიერება, მოყოლებული ასპირანტურიდან, ასეთი ადამიანის გვერდით გამეტარებინა თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება. ნინო ჯავახიშვილი იყო ცხოვრების დიდი წიგნი, რომლისგანაც ჩვენ ვსწავლიბდით სიკეთეს, სიყვარულს, კაცთმოყვარეობას, თავდაბლობას, შრომისმოყვარეობასა და საქმისადმი ჭეშმარიტად პროფესიონალურ დამოკიდებულებას. ყოველი ჩვენთაგანისათვის იგი იყო მაგალითი, მისგან ვიღებდით ცხოვრებისეულ გაკვეთილებს. მე არ მინახავს ქალბატონი ნინო გაბრაზებული. განა მას არასოდეს არაფერი სწყენია? მაგრამ ყოველთვის იყო თავშეკავებული და სამართლიანი. მისი კაბინეტის კარზე არასდროს ყოფილა აბრა წარწერით „მიღების საათები“, რადგან კარი ყოველთვის ღია იყო ყველასათვის ნებისმიერ საკითხში დასახმარებლად –სამეცნიერო, ადმინისტრაციულ, სასწავლო თუ პირად-საყოფაცხოვრებო.

საოცრად შრომისმოყვარე, დაუზარებელი, დიდი გულისყურით ასწორებდა ყველა ნაშრომს, დისერტაცია იყო თუ სტატია. თავის შეხედულებებს, აზრს, სწორ განმარტებებს მხოლოდ ფანქრით წერდა, რითაც იგი თავს არ გვახვევდა თავის შეხედულებებს. ამგვარად გვიტოვებდა ჩვენი საკუთარი არჩევანის გაკეთების საშუალებას.

ქალბატონ ნინოს გვერდით გატარებული ჩემი ცხოვრების ყოველი დღე იყო უდიდესი ბედნიერება და ცხოვრებისეული გამოცდილების მიღებისათვის საჭირო და აუცილებელი საუკეთესო გაკვეთილები, უდიდესი ნეტარება.”

მაყვალა წილოსანი: ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.



განცვიფრება და იმედი!

ადვილია სიტყვის თქმა ნინო ჯავახიშვილზე!

ადვილია, რადგანაც მისი პიროვნების თუ მოღვაწეობის რომელ მხარესაც არ უნდა შეეხო, მხოლოდ მაღალი ეპითეტებისა და საქებარ სიტყვათა მოხმობა დაგჭირდება.

ძნელია სიტყვის თქმა ნინო ჯავახიშვილზე!

ძნელია, რადგანაც არსებობს საშიშროება, რომ ზემოაღნიშნული ეპითეტებითა და საქებარი სიტყვებით დახატო ცნობილი მეცნიერის, მომხიბლავი ქალბატონისა და უშურველი მოღვაწის ხატი, მაგრამ ამ ხატს მიღმა აუსახველი დაგრჩეს ის მთავარი, რაც ქალბატონ ნინოს თვით გამორჩეულთა შორისაც გამოარჩევს.

ნინო ჯავახიშვილის ფენომენი რომ “ამოიხსნას”, ბევრი რამის გათვალისწინებაა აუცილებელი.

- ბიოლოგიური და “სოციალური” გენეტიკა:

მისმა მამამ, აკადემიკოსმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა გეოგრაფიულ მეცნიერებათა არაერთ მიმართულებას და დააარსა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, საუკუნე ისე მოიტოვა უკან, შეუძლოდ ყოფნა არ უხსენებია. ქალბატონი ნინო, როგორც მისივე თანადგომით დაფუძნებული ჟურნალის “კლინიკური და ექსპერიმენტული მედიცინის” მთავარი რედაქტორი, ამჟამადაც, ყოველდღიურად 10-დან 14-საათამდე უსათვალოდ ასწორებს სამენოვან ტექსტებს. დღესაც მალდობით იხსენებს მშობლებს და იმ “გუვერნანტებს”, რომელთაც ლამის ქართულის ტოლფასად შეასწავლეს რუსული, ფრანგული და გერმანული ენები. რაც შეეხება მის ქართულს, ქალბატონი ნინოს კორექტორობას არაერთხელ განუცვიფრებია ცნობილი კალმოსნები;

- პიროვნული თვისებები:

მემკვიდრეობითაც დაჰყვა, თვითონაც გამოიმუშავა და განავითარა თავისი ისეთი განუყრელი მახასიათებლები, როგორიცაა შემოქმედებითობა, მაღალი ზნეობა, პირდაპირობა, ურთიერთობის ტალანტი, სიდარბაისლე, მომხიბვლელობა, დახვეწილი იუმორი, ძიების წყურვილი და შრომისუნარიანობა. წარმატებული მეცნიერი თავად ასე ბრძანებს: “იღბალი არაფერ შუაშია, შრომაა მთავარი. მეცნიერული კვლევა-

მიებისას შემთხვევით ვერ აღმოაჩენ რაიმეს. მუშაობ, ეძებ, იკვლევ. ვთქვათ ვარაუდობ, რომ რასაც ეძებ, ასი ფურცლიდან ერთ-ერთშია. ის შეიძლება, პირველივე გვერდზე ნახო, შეიძლება – მესამეზე, მაგრამ ვიდრე არ იპოვი, ხომ არ გაჩერდები.”

- **ოჯახი და გარემოცვა:**

ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს და ბატონ მემედ კომახიძეს არამარტო უყვარდათ ერთმანეთი, არამედ პატივს სცემდნენ ერთმანეთის პიროვნებასა და მოღვაწეობას. გასაოცარი ქირურგიული ტექნიკის მქონე ქალბატონ ნინოს მემედ კომახიძე ხშირად იწვევდა სისხლმარღვთა საოპერაციოდ. (როდესაც ამის დაჯერება გამიჭირდა, ორიოდე წლის წინ, მორფოლოგიის ინსტიტუტში მიმდინარე ექსპერიმენტის დროს, ნინო ჯავახიშვილმა უსათვალოდ ჩაატარა კარის ვენის პლასტიკა ცხოველზე). ქალბატონი ნინო და ბატონი მემედი მეგობრობდნენ დიდ მეცნიერებთან, ექიმებთან, მწერლებთან, მსახიობებთან, მხატვრებთან, დიდ პოლიტიკოსებთანაც კი. საოჯახო არქივში ერთმანეთს ცვლის უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორესთან, გრიგოლ მუხაძესთან, სერგეი იუდინთან, იუსტინე ჯანელიძესთან, ედუარდ რეინოლდსთან, ლადო გუდიაშვილთან, ელენე ახვლედიანთან, ქეთევან მაღალაშვილთან, ირაკლი აბაშიძესთან, აკაკი ხორავასთან, აკაკი ვასაძესთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან, ილო მოსაშვილთან, ნიკოლოზ მუსხელიშვილთან, მორის ტორესთან, ევგენი ხარაძესთან, იოსებ გრიშაშვილთან, გიორგი ლეონიძესთან, ვლადიმერ ტანკოვთან, რაფაელ სინელნიკოვთან, ბორის პეტროვსკისთან, ალექსანდრე ვიშნევსკისთან, ვიქტორ ლერიშთან, კაროლ შიშკასთან, მიგელ დიპალმასთან, პალმარო ტოლიატისთან, ალექსანდრ როდინთან, იაკობ ნიკოლაძესთან, მარიკა ბარათაშვილთან, არქიეპისკოპოს მაკარიოსთან ერთად გადაღებული ფოტოები.

- **წარმატებული მეცნიერული გზა:**

26 წლისა გახდა მეცნიერებათა კანდიდატი, 33 წლისა მეცნიერებათა დოქტორი, 38 წლისა – პროფესორი. 47 წლის ასაკში აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 65 წლისა – აკადემიის ნამდვილ წევრად. 1959 წლიდან 2006 წლამდე ხელმძღვანელობდა მორფოლოგიის ინსტიტუტს, 2006 წლიდან - მისი საპატიო დირექტორია. მოწაფეებთან და თანამშრომლებთან ერთად მან განავითარა და დღესაც აგრძელებს ქართული ანატომიური, ჰისტოლოგიური, ემბრიოლოგიური ტერმინოლოგიის სრულყოფას. არის 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 7 მონოგრაფიის ავტორი.

ნ. ჯავახიშვილის გამოკვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება არტერიების ხელოვნური შემცვლელების ჩანერგვას. ღრმა მორფოლოგიური ანალიზის საფუძველზე მან გამოავლინა ის ცვლილებები, რომელიც არაიშვიათად, ხდებოდა ხელოვნური შემცვლელის - ალოტრანსპლანტის დათრომბვის მიზეზი: ეს არის პროტეზის შიგნითა გამონაფენის, ანუ ნეონტიმის ვასკულარიზაცია. ეს მოვლენა პრინციპულად განასხვავებს პროთეზის შიგნითა გამონაფენს არტერიის ინტიმისაგან, რომელსაც არა აქვს სისხლძარღვები. ამასთანავე, მკვლევარმა აღწერა ამ ვასკულარიზაციის ტიპები, დაადგინა რომ ამ ახალი სისხლძარღვოვანი ქსელის მიკროცირკულაციური მოდულის სტრუქტურა დამოკიდებულია ალოტრანსპლანტატის ქსოვის ტიპზე და მიუთითა იმ პროტეზებზე, რომელთა გამოყენებაც შეიცავს დათრომბვის ნაკლებ რისკს. ამ კვლევებს დღემდე არ გააჩნია ანალოგი. ნ. ჯავახიშვილის მიერ გამოკვლევის შედეგების მოხსენება ანატომთა VIII საერთაშორისო კონგრესზე ვისბანდენში, იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ გერმანულმა სამედიცინო გაზეთმა, რომელიც იხილავდა კონგრესის მუშაობას, მონაწილეთაგან მხოლოდ ნ. ჯავახიშვილის ფოტოსურათი დაბეჭდა, ხოლო კონგრესის სრული მიმოხილვა ასე დაასათაურა: “რატომ ითრომბება ხელოვნური სისხლძარღვები?”.

ნ. ჯავახიშვილის აღმოჩენები, საზოგადოდ, გადიოდა კლასიკურ გზას: ექსპერიმენტული ლაბორატორია – საერთაშორისო კონგრესი – სამედიცინო სინამდვილეში დამკვირდება. ასეთივე ბედი ეწია მის მიერ გულში სინუსოიდური კაპილარების აღმოჩენას, თირკმლის არტერიის ვენით ჩანაცვლების შესაძლებლობის დამტკიცებას. გასული საუკუნის 60-იან წლებში მან საქართველოში პირველად გამოიყენა ექსპერიმენტში სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატი, რომელსაც, სხვათა შორის, ისე მოუწარა, რომ ეს დანადგარი დღესაც ჩართულია მიმდინარე კვლევებში.

50-ზე მეტ ქვეყანაშია ნამყოფი, ხშირად თვითონ ხელმძღვანელობდა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა დელეგაციებს. სასიამოვნოა, რომ მსოფლიოში ბევრი ადამიანი საქართველოს სწორედ ნინო ჯავახიშვილის პიროვნებით იცნობს და აფასებს.

- **საზოგადო მოღვაწეობა:**

როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრს, ხელი აქვს მოწერილი საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე. ქ. ნინო არის საქართველოსა და თბილისის მრავალი მოწვევის დეპუტატი, საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი. იგი ყოველთვის განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდა ადამიანთა გაჭირვებას და მაქსიმალურად

ცდილობდა დახმარებოდა მათ. აღსანიშნავია, რომ აკადემიკოს მემედ კომახიძესთან ერთად ოროთახიან ბინაში მცხოვრები ქ. ნინო (2 აკადემიკოსი ოროთახიან ბინაში!) ხშირად გამხდარა შეჭირვებულ და მცირებინიან ოჯახთათვის სახელმწიფოსაგან ბინის გადაცემის ინიციატორი. საერთოდ ქ. ნინოს საზოგადოებრივი მოღვაწეობა ერთი დიდი, ცალკე განსახილველი თემაა. . .

- **გასაოცარი მომხიბლობა:**

მიმზიდველი იყო და არის ყველა ასაკში. მას ხატავდნენ ცნობილი მხატვრები, ლექსებს უწერდნენ ცნობილი პოეტები. ყოველთვის სადად ეცვა. მისი ღიმილიანი გამოხედვა კეთილგანწყობის მიზეზსაც ჩაგინერგავდა და გარკვეული დისტანციის დაცვასაც გაიძულებდა. არ შემხვედრია პიროვნება, რომელსაც ქალბატონ ნინოსთან ხელმეორედ შეხვედრის სურვილი არ გასჩენოდა;

- **ეპოქალურობა და თანადროულობა:**

ნინო ჯავახიშვილი იყო და არის ყველა დროსა და ვითარებაში ყველაზე მოწინავე იდეათა მატარებელი. ჯერ კიდევ 1917 წელს, სამი წლისა, მამის მხარზე მჯდომი შეეგება პეტერბურგში თებერვლის რევოლუციას. დღეს კი ერთ-ერთი ყველაზე ინფორმირებული და კომპიუტერიზებული მეცნიერია.

- **ორატორული ნიჭი:**

ქალბატონ ნინოს სასიამოვნო ტემბრის ძლიერი ხმა აქვს, გადმოცემის აკაკისეული “მოჩვენებითი სიმარტივე” და საკვანძო საკითხის გამოყოფისა და გახსნის მისეული უნარი დიდად შთამბეჭდავს ხდის მის გამოსვლებსა თუ ლექციებს. იგი დღესაც სიამოვნებით გვთანხმდება, რომ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს სემესტრში ერთხელ მაინც წაუკითხოს ე.წ. ღია ლექციები.

- **და კიდევ**

- **და კიდევ**

მართლაც ძალიან ადვილია, მაგრამ მაინც ძალიან ძნელია სიტყვის თქმა ნინო ჯავახიშვილზე. თუმცა, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩემთვის ერთი რამ უეჭველია: ნინო ჯავახიშვილი ვეღარ განმეორდება! შეუძლებელია ამ ეპოქის და მის დროსა და სივრცეში განფენილი ასეთი ცხოვრების და მოღვაწეობის განმეორება.

ისლა დაგვრჩენია, ცალკეული მიმართულებებით ვცადოთ, “გავეჯიბროთ” ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს:

- შევქმნათ დიდი მეცნიერება,
- ვიღვაწოთ ქვეყნისა და ხალხისათვის,
- შევქმნათ კეთილგანწყობისა და უშუალოების გარემო ჩვენს ირგვლივ,
- ხელი შევუწყოთ ახალგაზრდებს,
- ვიქცეთ ჩვენი ქვეყნის სახედ საზღვარგარეთ,
- და კიდევ
- და კიდევ

ანუ კრებითად შევქმნათ ახალი ნინო ჯავახიშვილები.

ქალბატონო ნინო,

თქვენი ნაწინამძღოლები ინსტიტუტის ყველა თაობის თანამშრომელთა სახელით, ყველა ქართველი მეცნიერი ექიმის სახელით მინდა მოგილოცოთ მონუმენტური საიუბილეო თარიღი. ასეთი მხნეობითა და მოუცლელობით თქვენი ჩვენს გვერდით ყოფნა, დიდი განცვიფრების გარდა, დიდ იმედსაც აღძრავს თითოეული ჩვენგანის გულში: თქვენსავით ხანგრძლივად სიცოცხლის და აქტიურად მოღვაწეობის იმედს.

დიდო ქალბატონო,

დიდხანს არ მოგვკლებოდეს თქვენგან ეს განცვიფრებაც და ეს იმედიც.

დიმიტრი კორძაია: ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.



მონოგრაფიები:

1. „ანატომიისა და ფიზიოლოგიის კონსპექტი ომის პერიოდის მედდებისათვის” (თანაავტ: ა.ნ. ნათიშვილი, ა.გ. მალავეი, დ.ს. ციბაძე), საქმედგეიზი, 1940წ.

2. „ზურგის ტვინის წნულების და სიმპატიკური წველის ურთიერთობა და ფორმები”, საქართველოს მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1952წ.

3. „გულის სისხლისძარღვები”, გამომცემლობა „მეცნიერება”, თბილისი, 1963წ.

4. „გულის სისხლისძარღვები” (მეორე დამატებითი გამოცემა), თანაავტორი: მ. კომახიძე, გამომცემლობა „ნაუკა”, მოსკოვი, 1967წ.

5. „ზოგიერთი კორონაროგამაფართოებელი პრეპარატების მოქმედების მორფოლოგიური საფუძვლები”, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1973წ.

6. „ალექსანდრე ნათიშვილი” (თანაავტ. მ.კომახიძე), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1980წ.

7. „გულის სისხლის ძარღვები ნორმასა და პათოლოგიისას” (თანაავტორ: მ.კომახიძე. ზ.ცაგარელი), გამომცემლობა „მეცნიერება”, თბილისი, 1982წ.

8. „ალექსანდრე ნათიშვილი – მოკლე ნარკვევი მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე”, გამომცემლობა „მეცნიერება”, 1986წ.

9. Пластика кровеносных сосудов – Изд. «Мецниереба», Тбилиси, 1997.